ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№ 38

ქ. ჯვარი 15 აპრილი 2022 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)ი.პ „წალენჯიხის მუნიციპლიტეტის ქ. ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“, ს/კოდი (442728201) (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორი მინდია ჯინჯილავას სახით და მეორეს მხრივ(შემდგომო მიმწოდებელი) შპს გორგია მისი დირექტორი ხვიჩა პაპუნიძეს სახით, ს/კოდი (245621288), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2 შემსყიდველი ორგანიზაცია - რომელიც ახორციელებს შესყიდვას

1.3 მიმწოდებელი პირი - რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 ფორს მაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან იწვევს არათანაზომიერად დიდი ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ამ ხელშეკრულების საგანს ა(ა)ი.პ „წალენჯიხის მუნიციპლიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“-ს მიაწოდოს შემდეგი:

1. გამხსნელი სინთეთიკური 0.32 ლტ TS100 2ც X 4.05ლ=8.10ლარი.(CPV 44832200)
2. ფუნჯი ხისტარიანი 81731 7მმ(#3)Maxi Tool 2ც X 4.15ლ=8.30ლარი.(CPV 39224210)
3. PF115-ემალის საღებავი „კომფორტი“ყვითლი-2,6კგ 1ც X 19.25ლ=19.25ლარი.
4. საღებავი ემალი ცისფერი 2,6კგ INTERCOLOR 1ც X 17.90ლ=17.90ლარი.
5 .საღებავი ემალი შავი 2,6კგ INTERKOLOR 2ც X 13.91ლ=27.82ლარი(CPV 44810000).

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საგნის ღირებულება შეადგენს 81.37(ოთხმოცდაერთი და ოცდაჩვიდმეტი)ლარს .

3.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ მომსახურეობის შესრულებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება ჩაბარება და ანგარიშსწორება
4.1 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნული ვალუტით.
4.2 შესყიდვის ობიექტზე მიღება-ჩაბარება გაფორმდება მიმწოდებლის მიერ მომსახურების დასრულების შემდეგ.
4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მCიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან სასაქონლო ზედნადების გამოწერიადნ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა
5.1 მიმწოდებელი მომსახურების შესრულებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2022 წლის 15 აპრილიდან 2022 წლის 26 აპრილამდე.
მუხლი 6. მხარეთა უფლება მოვალეობები
6.1 შემსწიდველს უფლება აქვს
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, თუ ირღვევა ხელშეკრულების პირობები.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია
ა) გადაუხადოს მიმწოდებელს შეთანხმებული ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
ბ) მიიღოს მიწოდებული მომსახურება.
გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია
6.4.1 ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.
მუხლი 7. ფორს მაჟორი
7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
7.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგენის ან/და დასრულების შესახებ, წინაამღდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად
8.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში
მუხლი 9. დავების, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი
9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
9.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
მუხლი 10. შეტყობინება
10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით
10.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღიდან
მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 20 ივნისი.
მუხლი 12. განსაკუთრებული პირობები
12.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“

ა(ა)იპ“წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, ქ,ჯვარის
დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური.
მის: ქ. ჯვარი, ქანთარიას ქ. N2
ს/კ 442728201
სახელმწიფო სახაზინი კოდი : TRESGE22
ა/ნ 3497800000 დირექტორი მინდია
ჯინჯილავა

“ მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი “

შპს გორგია
ს/კ 245621288 TBCBGE22
GE62TB1007536020100008
დირექტორი: ხვიჩა პაპუნიძე

GORGIA

Подписано
цифровой подписью:
GORGIA
Дата: 2022.04.16
15:55:55 +04'00'